ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი ადგილები მეჩეთებია, ხოლო ყველაზე უფრო საძულველი ადგილები – ბაზრები

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი ადგილები მეჩეთებია, ხოლო ყველაზე უფრო საძულველი ადგილები – ბაზრები».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვადა მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ დიდებული და ძლევამოსილი ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი ადგილები მეჩეთებია, რადგან ისინი მორჩილების სახლებია და დაფუძნებულია ღვთისმოსაობაზე. ხოლო ალლაჰისთვის ყველაზე საძულველი ადგილები ბაზრებია, რადგან ისინი ხშირად ცბიერების, მოტყუების, პროცენტის, ცრუ ფიცების, დაპირებების დარღვევის და ალლაჰის ხსენებისგან მოშორების ადგილებია.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4933